საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/215 „ 25 „ ივნისი 2018 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ბავშვის უფლებების სფეროში მოსამართლის
სპეციალიზაციის სტანდარტის დამტკიცების შესახებ

1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 29 მაისის №1/162 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „2017-2021 წლების სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და მისი იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის“ შესრულების მიზნით, „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის“ მე-9 მუხლის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დამტკიცდეს ბავშვის უფლებების სფეროში მოსამართლის სპეციალიზაციის სტანდარტი თანდართული სახით.

2. იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ უზრუნველყოს ამ გადაწყვეტილებით გათვალისწინებული სასწავლო კურსის კურიკულუმის შემუშავება 2018 წლის 1 დეკემბრამდე.

3. ეს გადაწყვეტილება, გარდა პირველი პუნქტისა, ამოქმედდეს მიღებისთანავე.

4. ამ გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

დამტკიცებულია
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
2018 წლის 25 ივნისის №1/215 გადაწყვეტილებით

ბავშვის უფლებების სფეროში მოსამართლის სპეციალიზაციის სტანდარტი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. წინამდებარე სტანდარტი განსაზღვრავს საერთო სასამართლოებში სამოქალაქო საქმეთა განმხილველ მოსამართლეთა სპეციალიზაციას არასრულწლოვანთან ურთიერთობის მეთოდიკასა და მასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებში, სპეციალური სწავლების მეშვეობით.

2. ამ სტანდარტის მიზანია ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე მორგებული მართლმსაჯულების განხორციელების უზრუნველყოფა.

მუხლი 2. სასწავლო კურსი

სამოქალაქო საქმეთა განმხილველ მოსამართლეთა სპეციალიზაციის მიზნით იქმნება სასწავლო კურსი, რომლის თემატიკას და ხანგრძლივობას განსაზღვრავს იუსტიციის უმაღლესი სკოლა.

მუხლი 3. სპეციალიზაციის პროცესის უზრუნველყოფა

1. მოსამართლეთათვის ამ სტანდარტის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სასწავლო კურსის ჩატარებას უზრუნველყოფს იუსტიციის უმაღლესი სკოლა.

2. სასწავლო კურსის გავლის შემდეგ მოსამართლეს გადაეცემა სასწავლო კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

3. იუსტიციის უმაღლესი სკოლა სასწავლო კურსის ბოლოს ამზადებს ანგარიშს, რომელშიც აისახება ინფორმაცია სერტიფიცირებულ მოსამართლეთა შესახებ, სასწავლო კურსის მონაწილეთა უკუკავშირის ანალიზი, მონაწილეთა დასწრების შედეგები, ასევე პროგრამის განხორციელების პარტნიორთა დაკვირვების შედეგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

4. იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ მომზადებული ანგარიში წარედგინება იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.